ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

საქართველოში დემოკრატიის ხარისხის შეფასება 1990-2017 წლებში

დემოკრატიის, როგორც სახელმწიფო მმართველობის ფორმის შეფასება, მუდამ აზრთა სხვადასხვაობას იწვევს სამართლის მეცნიერების თეორეტიკოსებსა თუ პრაქტიკოსებს შორის. სახელმწიფოსთვის დემოკრატიული სტატუსის მინიჭების ერთი სისტემა არ არსებობს, მაგრამ არსებობს სხვადასხვა მეთოდი, რომლის მიხედვითაც იზომება დემოკრატიის ხარისხი და მისი მეშვეობით დგინდება მსოფლიოში დემოკრატიული ქვეყნების რეიტინგები, მათ შორისაა V-Dem.

რა არის V-Dem?

დემოკრატიის სახესხვაობები (V-Dem – varieties of democracy) ახალი მიდგომაა, რომელიც კომპლექსური მონაცემების მეშვეობით უზრუნველყოფს ქვეყნებში დემოკრატიის ხარისხის შეფასებას შესაბამისი მეთოდოლოგიის საფუძველზე.

V-Dem Institute, დაფუძნებულია შვედეთში, გიოტებორგის უნივერსიტეტის პოლიტიკური მეცნიერებების დეპარტამენტის ბაზაზე, წარმოადგენს სოციალური მეცნიერებისგან შემდგარ ჯგუფს, რომელიც 6 კონტინენტზე სხვადასხვა ქვეყნის 2500-ზე მეტ საერთაშორისო ექსპერტთან ერთად მუშაობს ბაზებზე, რომელიც 19 მილიონზე მეტ მონაცემს შეიცავს.

V-Dem ჯგუფის მიერ მოგროვებული და დამუშავებული მონაცემების დაახლოებით ნახევარი, ეყრდნობა სხვადასხვა ქვეყნის ოფიციალურ დოკუმენტებს, როგორიცაა კონსტიტუცია, კანონები და მთავრობის სამართლებრივი აქტები. მეორე ნახევარი კი დამყარებულია მოვლენების შედარებით სუბიექტურ აღქმასა და შეფასებაზე, მაგალითისთვის, ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, არჩევნები და სხვა.

V-Dem განასხვავებს დემოკრატიის მაღალი და საშუალო დონის ინდექსებს და მათ დასადგენად განსაზღვრავს შესაბამის ინდიკატორებს. დემოკრატიის მაღალი დონის ინდექსებს წარმოადგენს:

- ✓ არჩევითი დემოკრატიის ინდექსი,
- ✓ ლიბერალური დემოკრატიის ინდექსი,
- ✓ ინდივიდუალური ჩართულობის დემოკრატიის ინდექსი,
- ✓ თანაბარზომიერების ინდექსი და
- ✓ დელიბერატიული დემოკრატიის ინდექსი.

აღნიშნული მაკრო-ინდექსები დგება შესაბამისი მათემატიკური ფორმულის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც მარტივად აღსაქმელია ქვეყნებში წლების მიხედვით მიმდინარე

პროცესების დემოკრატიულობა. რაც შეეხება საშუალო დონის ინდექსებს, სულ დადგენილია 21 ინდექსი. მათ შორის, გამოხატვის თავისუფლების და ალტერნატიულ ინფორმაციის არსებობის, კანონის წინაშე თანასწორობის და ინდივიდუალური თავისუფლების, ადგილობრივი და რეგიონული თვითმმართველობების, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის, თავისუფალი არჩევნების და ა.შ. ინდექსების გასაზომად დადგენილია 350-ზე მეტი ინდიკატორი, რომელიც შემდეგი თემების მიხედვითაა დაჯგუფებული:

- ✓ არჩევნები;
- ✓ პოლიტიკური პარტიები;
- ✓ პირდაპირი დემოკრატია;
- ✓ აღმასრულებელი ხელისუფლება;
- ✓ საკანონმდებლო ხელისუფლება;
- ✓ სასამართლო ხელისუფლება;
- ✓ დელიბერატიულობა;
- ✓ სამოქალაქო თავისუფლება;
- ✓ ქვეყნის სუვერენიტეტი;
- ✓ სამოქალაქო საზოგადოება;
- ✓ მედია;
- ✓ პოლიტიკური თანასწორობა და
- ✓ დემოკრატიის ისტორიული სახესხვაობები.

V-Dem მონაცემებით ფასდება ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) წევრობის მსურველ ქვეყანათა ღირებულებები. სხვა საკითხებთან ერთად, OGP წევრად გახდომის ერთ-ერთი წინაპირობაა კანდიდატმა ქვეყანამ წარმატებით ჩააბაროს ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების მდგომარეობის ტესტი Dem-ით განსაზღვრულ შემდეგ ინდიკატორებზე: მთავრობის როლზე ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების შექმნისა და გაუქმებისას (CSO entry and exit) და ხელისუფლების მხრიდან სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების შევიწროებაზე (CSO repression)|.

V-Dem მოიცავს ყველა ქვეყანას და ყველა მოგროვებული მონაცემი და კვლევები ფართოდ ხელმისაწვდომია დაინტერესებული საზოგადოებისთვის. საქართველოს მონაცემები მოიცავს დროის მონაკვეთს 1990 წლიდან 2017 წლამდე. წინამდებარე სტატიაში მონაცემთა სიდიდისა და მრავალფეროვნების გამო, განხილულია მაღალი დონის დემოკრატიის ყველა ინდექსი, საშუალო დონის რამდენიმე ინდექსი და გარკვეული ინდიკატორები თემების მიხედვით.

დემოკრატიის მაღალი დონის ინდექსები

დემოკრატიის მაღალი დონის, მაკრო-ინდექსების გამოთვლისას V-Dem ხელმძღვანელობს კონკრეტული ინდიკატორებით. თითოეულ მაკრო-ინდექსს ენიჭება ქულა 0-დან 1-მდე, სადაც შეფასება ზრდადია ნეგატიურიდან პოზიტიურისკენ (0 ქულა ენიჭება ქვეყანას, რომელიც დემოკრატიის კონკრეტული მაღალი დონის ინდექსის შეფასებისას გამოირჩევა ნაკლები დემოკრატიულობით, ხოლო 1 ქულა, რომელიც გამოირჩევა მაღალი დემოკრატიულობით). ინდექსების დადგენისას ყურადღება ეთმობა შემდეგ საკითხებს:

რა შემთხვევაში აღწევს ქვეყნებში არჩევითი დემოკრატია უმაღლეს დონეს?

V-Dem მეთოდოლოგიის მიხედვით, ქვეყანაში არჩევითი დემოკრატია უმაღლეს ნიშნულს აღწევს, როდესაც სახელმწიფო მმართველობა პასუხისმგებელია საკუთარი მოქალაქეების წინაშე; როდესაც მმართველობის სათავეში კონკურენტულ საარჩევნო გარემოში არჩეული პირები დგანან, სადაც სამოქალაქო საზოგადოებასა და პოლიტიკურ ორგანიზაციებს შეუძლიათ თავისუფლად მუშაობა; არჩევნები გაყალბების გარეშე ტარდება და გავლენას ახდენს სახელმწიფოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების დაკომპლექტებაზე; არჩევნებს შორის უზრუნველყოფილია გამოხატვისა და მედიის თავისუფლება და შესაბამისად უზრუნველყოფილია განსხვავებული აზრის არსებობა. არჩევითი დემოკრატიის ინდექსი ფასდება დანარჩენი 4 მაღალი დონის ინდექსის დადგენისას და შესაბამისად დემოკრატიის ხუთი მაღალი დონის ინდექსთაგან უმნიშვნელოვანესს წარმოადგენს.

რა შემთხვევაში მიიღწევა იდეალური ლიბერალური დემოკრატია?

როდესაც ქვეყანაში დაცულია ინდივიდების, მათ შორის უმცირესობის უფლებები სახელმწიფოსა და უმრავლესობის ტირანიისგან. აღნიშნული მიიღწევა სამოქალაქო უფლებების კონსტიტუციური დაცვით, კანონის უზანაესობის სიმყარით, დამოუკიდებელი სასამართლოსა და სხვა ისეთი მექანიზმებით, რომლებიც ზღუდავს ხელისუფლების თვითნებობას.

როგორ ითვლება ინდივიდუალური ჩართულობის ინდექსი?

ინდექსის გამოთვლისას ყურადღება ეთმობა ინდივიდებისა და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების (CSO) აქტიურ მონაწილეობას პოლიტიკურ პროცესებში. ფასდება ენიჭება თუ არა უპირატესობა მოქალაქეთა პირდაპირ მმართველობას, მათ გავლენას გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე.

როდის არის დელიბერატიული დემოკრატია იდეალური?

როცა გადაწყვეტილებები მიიღება კოლექტიურად; როდესაც საერთო სიკეთე პოლიტიკური გადაწყვეტილებების მოტივატორია; როცა არსებობს დიალოგის შესაძლებლობა ყველა დონეზე, საკითხის ინიცირებიდან საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე მოლაპარაკების მოსურნე, ინფორმირებულ და კომპეტენტურ მხარეთა შორის.

რის მიხედვით დგინდება თანაბარზომიერების ინდექსი?

თანაბარზომიერი დემოკრატია მიიღწევა თუ უფლებები და თავისუფლებები დაცულია თანაბრად ყველა სოციალურ ჯგუფში; როცა რესურსები თანაბრადაა გადანაწილებული; ჯგუფები და ინდივიდები სარგებლობენ ძალაუფლებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობით და ა.შ.

N1 დიაგრამაზე ნაჩვენებია დემოკრატიის ხუთი მაღალი დონის მაკრო-ინდექსები საქართველოსთვის 1990 წლიდან 2017 წლის ჩათვლით. დიაგრამიდან ნათელია, თუ როგორ აისახა გასული პოლიტიკური და სოციალური მოვლენები, წლების განმავლობაში საქართველოს დემოკრატიის ყველა მაღალი დონის ინდექსის განვითარებაზე. შედარებით მაღალ საფეხურზე ყოველთვის არჩევითი დემოკრატიის ინდექსი იყო, ხოლო ნაკლები განვითარებით ინდივიდუალური ჩართულობის ინდექსი ხასიათდება. გრაფაზე თვალშისაცემია საქართველოში სხვადასხვა დროს ხელისუფლებების ცვლილებების

თანმდევი დემოკრატიული პროცესები. კერძოდ მეტ-ნაკლებად სტაბილურია ვითარება 1990-2004 წლიან, 2004-2012 წლიან და 2012 წლის შემდგომ პერიოდებში. თითქმის ყველა ინდექსი კლებას განიცდის 2008 წელს, რაც სავარაუდოდ რუსეთ-საქართველოს ომითაა გამოწვეული და ზრდადობას 2004 წელს, რის გამომწვევ მიზეზადაც, ვარდების რევოლუცია და მისი თანმდევი პროცესები უნდა დასახელდეს.



დიაგრამა N1 - დემოკრატიის მაღალი დონის ინდექსების განვითარება საქართველოსთვის 1990 წლიდან დღემდე.

პოლიტიკური და სოციალური მოვლენები დემოკრატიის ხარისხზე გავლენას სხვა ქვეყნებშიც ახდენს. მაგალითისთვის, მოლდოვასა და უკრაინისთვის, რომლებიც საქართველოს მსგავსად აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს წარმოადგენენ და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე აქვთ ხელი მოწერილი (რომელიც თავის მხრივ დემოკრატიული ინსტიტუტების სიძლიერეს მოიცავს), ვითარება შემდეგნაირად გმოიყურება:



დიაგრამა N2 - დემოკრატიის მაღალი დონის ინდექსების განვითარება მოლდოვისთვის 1990 წლიდან დღემდე.



დიაგრამა N3 - დემოკრატიის მაღალი დონის ინდექსების განვითარება უკრაინისთვის 1990 წლიდან დღემდე.

მაღალი დონის ინდექსების შედარებით სტაბილური განვითარებით გამოირჩევიან ბალტიისპირეთის ქვეყნები. გრაფებზე N4 და N5 ნაჩვენებია ესტონეთისა და ლატვიის მაკრო-ინდექსები 1990-2017 წლებში.



დიაგრამა N4 - დემოკრატიის მაღალი დონის ინდექსების განვითარება ესტონეთისთვის 1990 წლიდან დღემდე.



დიაგრამა N5- დემოკრატიის მაღალი დონის ინდექსების განვითარება ლატვიისთვის 1990 წლიდან დღემდე.

ზემოაღნიშნული მონაცემები ცხადყოფს, რომ დემოკრატიის მაღალი დონის ინდექსების განვითარების კუთხით, საქართველოს უკეთესი მდგომარეობა აქვს უკრაინასა და მოლდოვასთან შედარებით, თუმცა მკვეთრად ჩამორჩება ბალტიისპირეთის ქვეყნებს. უმაღლეს ქულამდე მისაახლოებლად კი ჯერ ისევ ბევრი პროცესია დასახვეწი დემოკრატიულობის კუთხით.

დემოკრატიის საშუალო დონის ინდექსები

დემოკრატიის საშუალო დონის არსებული 21 ინდექსიდან გრაფაზე N6 ნაჩვენებია გამოხატვის თავისუფლების და სხვა ალტერნატიულ ინფორმაციის არსებობის, კანონის წინაშე თანასწორობის და ინდივიდუალური თავისუფლების, ადგილობრივი და რეგიონული თვითმმართველობების და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ინდექსები წლების მიხედვით. თითოეულ ინდექსს ამ შემთხვევაშიც, მაკრო-ინდექსების მსგავსად, იმავე პრინციპით ენიჭება ქულა 0-დან 1-მდე.

მონაცემების მიხედვით, თვალშისაცემია საქართველოს ადგილობრივი და რეგიონული თვითმმართველობების ინდექსების დაბალი მაჩვენებელი 2004 წლამდე, მათი მცირედით ზრდადობა 2005 წელს და სტატიკურობა 2013 წლის ჩათვლით. განსხვავდება 2013 წლის შემდეგ ამ ორი ინდექსის განვითარება - ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი სტაბილურ ზრდას განაგრძნობს გარდა 2016 წლისა, ხოლო რეგიონული თვითმმართველობის ინდექსი სტატიკურია 2014-2016 წლებში, 2017 წელს კი კვლავ იკლებს. ადგილობრივი და რეგიონული თვითმმართველობის ინდექსი დგინდება იმის მიხედვით, არჩევითია თუ არა ადგილობრივი/რეგიონული ხელისუფლება ქვეყანაში, თუ არჩევითია - ექვემდებარება თუ არა არჩეული ადგილობრივი/რეგიონული ხელისუფლება არაარჩევით ორგანოს. მაღალი ქულა ენიჭება ქვეყანას, სადაც რეგიონული/ადგილობრივი ხელისუფლება არჩევითი და დამოუკიდებელია იმ პირებისგან, რომლებიც თანამდებობაზე არჩევით არ გვევლინებიან.

საქართველოში აღნიშნული ინდექსის ბოლოდროინდელი ცვალებადობა სავარაუდოდ 2014 წლის ახალი ორგანული კანონის - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიღებას უნდა უკავშირდებოდეს, რამაც უწინდელთან შედარებით განსხვავებულად მოაწესრიგა ადგილობრივი თვითმმართველობის სხვადასხვა საკითხი.



დიაგრამა N6 - დემოკრატიის საშუალო დონის პრინციპები საქართველოსთვის 1990-2017 წლები

კანონის წინაშე თანასწორობა საქართველოში მცირედით მუდმივად იზრდება 1990 წლიდან 2004 წლამდე. 2005 წელს მკვეთრად, 0,2 ერთეულით იმატებს. ყველაზე მაღალ

განვითარებას 2015 წელს 0,84 მაჩვენებელს აღწევს და მომდევნო 2 წლის განმავლობაში 0,8 მაჩვენებლამდე იკლებს.

დიაგრამაზე ნაჩვენები დემოკრატიის საშუალო დონის ინდექსთაგან ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოხატვის თავისუფლებისა და ალტერნატიული ინფორმაციის არსებობის ინდექსი ხასიათდება. უმაღლეს 0,92 ქულას მან 2016 წელს მიაღწია, მკვეთრად კი 2013 წელს გაიზარდა 0,77-დან 0,90 მაჩვენებლამდე. სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ინდექსი, მკვეთრად გაიზარდა საქართველოსთვის 2004 წელს და მდგრადი განვითარებით გამოირჩევა 2014 წლის შემდეგ. სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა ფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად აქვთ შესაძლებლობა მოქალაქეებს გაერთიანდნენ ან/და შექმნან ორგანიზაციები კოლექტიური უფლებების დაცვის მიზნით. ასეთ ორგანიზაციებს შეიძლება წარმოადგენდნენ რელიგიური ან პროფესიული გაერთიანებები, სამოქალაქო ან პოლიტიკური ან/და სხვა ტიპის არასამთავრობო ორგანიზაციები.

ინდიკატორები

როგორ უკვე აღინიშნა, დემოკრატიის ინდექსების საზომად 350 ინდიკატორზე მეტია დადგენილი. სტატიაში ანალიზისთვის გამოყენებულია ფარდობითი სკალის (relative scale) მონაცემები. აღნიშნული მონაცემები მიღებულია გაზომვის მეთოდით, სადაც გათვალისწინებულია მონაცემების გაზომვაში ჩართულ ექსპერტების შეხედულებებს შორის სხვაობა და სხვა ისეთი გარემოებები, რაც რეალური სურათის შექმნას უწყობს ხელს. ქვემოთ არსებული თემების მიხედვით დაჯგუფებული ინდიკატორები, დემოკრატიის სხვადასხვა დონის ინდექსების საზომად გამოიყენება.

არჩევნები

არჩევნების ნაწილი მოიცავს 132 ინდიკატორს. დიაგრამა N7 უჩვენებს საქართველოში 1990 წლიდან დღემდე არჩევნების სფეროში არსებულ შემდეგ ინდიკატორებს: საარჩევნო კამპანიის დამფინანსებლების ღიაობა, არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების მრავალფეროვნება, საერთაშორისო დამკვირვებლების ჩართულობა აჩევნებში, არჩევნების პერიოდში ეროვნულ მაუწყებელზე ხელმისაწვდომობა და თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები.

არჩევნებში ჩართული პოლიტიკური პარტიების მრავალფეროვნების, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების და საარჩევნო კამპანიის დამფინანსებლების ღიაობის ინდიკატორები იზომება 0-დან 4-მდე ზრდადი მაჩვენებლით. არჩევნების მიმდინარეობისას საერთაშორისო დამკვირვებლების ჩართულობა იზომება 0 და 1 მაჩვენებლით, სადაც 1 გულისხმობს საერთაშორისო დამკვირვებლების ჩართულობას, ხოლო 0 - ქვეყანაში არჩევნების მიმდინარეობას საერთაშორისო დამკვირვებლების გარეშე. რაც შეეხება არჩევნების პერიოდში ეროვნულ მაუწყებელზე ხელმისაწვდომობის ინდიკატორს, აღნიშნული იზომება 0-დან 2-მდე მაჩვენებლით, სადაც 0 ქულა ენიჭებათ ქვეყნებს, თუ პოლიტიკური პარტიებს ხელი არ მიუწვდებათ მაუწყებელზე ან მხოლოდ სახელისუფლებო პარტიას აქვს აღნიშნულზე ხელმისაწვდომობა; 1 ქულა ენიჭებათ ქვეყნებს, როდესაც მხოლოდ რამდენიმე პოლიტიკურ პარტიას აქვს აღნიშნულით სარგებლობის უფლება, ხოლო 2 ერთეულის მინიჭებისას, ქვეყანაში ყველა არსებულ პოლიტიკურ პარტიას არჩევნების პერიოდში ხელმისაწვდომობა აქვს ეროვნულ მაუწყებელზე.

მე-7 დიაგრამიდან ნათლად ჩანს 2004 წლამდე თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების სავალალო მდგომარეობა. თითქმის უცვლელია არჩევნებში საერთაშიროსო დამკვირვებლების ჩართულობის მაჩვენებელი, რაც არჩევნებში საერთაშორისო დამკვირვებლების ჩართულობას ადასტურებს. მცირედით იცვლება არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების მრავალფეროვნების მაჩვენებელი 2004 წლის შემდეგ, თუმცა 2017 წლამდე მისი ზრდადობა 2-ს არ აღემატება. ეს კი ნიშნავს ოპოზიციური პარტიების არსებობას კონკურენციის სამართლებრივად ან არაფორმალურად შეზღუდულ გარემოში. 2012 და 2015 წლების გამონაკლისის გათვალისწინებით, მუდმივი ზრდადობით ხასიათდება საარჩევნო კამპანიის დამფინანსებლის ღიაობის მაჩვენებელი საქართველოში, თუმცა საბოლოო ჯამში 3 ერთეულს (უმაღლესი 4-დან) არ აღემატება.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული ინდიკატორები 0-დან ზევით ზრდადობით უნდა ხასიათდებოდეს, საქართველოს შემთხვევაში, რამოდენიმე წელს საარჩევნო კამპანიის დამიფინანსებლების ღიაობისა და თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების მაჩვენებელი 0-ს ქვემოთაა, რაც რასაკვირველია ნეგატიურად აისახება კონკრეტულ წლებში ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაზე.



დიაგრამა N7 - დემოკრატიის პრინციპების გამზომი ინდიკატორები არჩევნების სფეროში, 1990-2017 წლები

პოლიტიკური პარტიები

N8 დიაგრამა ასახავს საქართველოში პოლიტიკური პარტიების თავისუფლებისა დამოუკიდებლობის ინდიკატორებს. კერძოდ, გრაფაზე მოცემულია ოპოზიციური პარტიების ხელისუფლებისგან დამოუკიდებლობის და პოლიტიკური პარტიების განშტოებების/ადგილობრივი წადმომადგენლების შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე მმართველი ცენტრალური თუ ადგილობრივი ხელისუფლების კონტროლი ქვეყანაში

არსებულ პოლიტიკის შემქმნელ ორგანოებზე. ინდიკატორის შესაფასებლად გამოყენებულია 0-დან 4-მდე საზომი ოპოზიციური პარტიების ხელისუფლებისგან დამოუკიდებლობისა და პოლიტიკური პარტიების განშტოებებისთვის/ადგილობრივი წამომადგენლობისთვის. ხოლო ცენტრალური თუ ადგილობრივი ხელისუფლებების მიერ პოლიტიკის შემქმნელ ორგანოებზე კონტროლისთვის გამოიყენება 0-დან 2-მდე მაჩვენებლიანი საზომი.

დიაგრამაზე მითითებული მონაცემები ცხადყოფს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ პოლიტიკის შემქმნელ ორგანოებზე კონტროლის განხორციელების მდგომარეობას, რომელიც 1990 წლიდან დღემდე 0-ის ქვემოთაა. მნიშვნელოვანია აგრეთვე ოპოზიციური პარტიების ხელისუფლებისგან დამოუკიდებლობის ინდიკატორი, რომელიც მაღალი მაჩვენებლით არასოდეს გამოირჩევა, განსაკუთრებით კი 2007 წლის შემდეგ იკლებს და განვითარების უმაღლეს, 2 ქულას, (4-დან) 2016-2017 წლებში აღწევს.



დიაგრამა N8 - დემოკრატიის ინდექსების გამზომი ინდიკატორები პოლიტიკური პარტიების სფეროში, 1990-2017 წლები.

სასამართლო ხელისუფლება

მე-9 დიაგრამაზე ნაჩვენებია სასამართლო ხელისუფლებაში დემოკრატიის საზომი ინდიკატორები. კერძოდ, სასამართლო რეფორმისა და ანგარიშვალდებულების და სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოების დამოუკიდებლობის ინდიკატორები. გარდა სასამართლო რეფორმის ინდიკატორისა, ყველა ყველა სხვა ინდიკატორი იზომება 0-დან 4-მდე მაჩვენებლით, ხოლო სასამართლო რეფორმის ინდიკატორი 0-დან 2-მდე მაჩვენებლით.



დიაგრამა N9 - დემოკრატიის ინდექსების გამზომი ინდიკატორები სასამართლო ხელისუფლების სფეროში, 1990-2017 წლები

დიაგრამა ცხადყოფს სასამართლო ხელისუფლებაში დემოკრატიის საზომი ინდიკატორების რყევასა და მუდმივ ცვალებადობას 1990 წლიდან 2017 წლამდე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით პოზიტიური ცვლილებები, არც ბოლო წლებში შეინიშნება და ბოლო პერიოდში განხორციელებული სხვადასხვა ტალღებში გაწერილი სასამართლო სისტემის რეფორმები დემოკრატიულობის თვალსაზრისით საერთო სურათს ვერ ცვლის.

სამოქალაქო თავისუფლებები

N10 დიაგრამა ასახავს 1990 წლიდან დღემდე სამოქალაქო თავისუფლებების კუთხით საქართველოში არსებულ ვითარებას. კერძოდ, ნაჩვენებია მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უფლება სქესის მიხედვით, აკადემიური და კულტურული გამოხატვის თავისუფლება და სოციალური კლასების თანაბარუფლებიანობა სამოქალაქო უფლებებისა და თავისუფლებების კუთხით. ყველა ზემოაღნიშნული ინდიკატორი იზომება 0-დან 4-მდე მაჩვენებლით, ნეგატიურიდან პოზიტიურისკენ.

დიაგრამიდან ნათელია აკადემიური და კულტურული გამოხატვის თავისუფლების მკვეთრი ვარდნა 2003 წლიდან, მდგრადი ზრდადობა 2012 წლიდან 2015 წლამდე მონაკვეთში, ხოლო მომდევნო წლებში კვლავ კლება. სქესის მიხედვით მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უფლება თითქმის ერთნაირად ვითარდება 2004 წლის შემდეგ, ბოლო წელს კი კლება შეინიშნება ორივე სქესში, რაც ზოგადად მართლმსაჯულებაზე ხელისაწვდომობის ვარდნის ტენდენციაზე მიუთითებს. რაც შეეხება სოციალური კლასების თანაბარუფლებიანობას, თუმცა პოზიტიური ცვლილებები 2005 წლიდან შეინიშნება, მაგრამ მკვეთრ ვარდნას 2016 წელს განიცდის და ვითარება, ქვეყანაში 2000 წლის მდომარეობას უთანაბრდება.



დიაგრამა N10 - დემოკრატიის ინდექსების გამზომი ინდიკატორები სამოქალაქო თავისუფლებების სფეროში, 1990-2017 წლები

სამოქალაქო საზოგადოების მდგომარეობა

V-Dem მოიცავს ინდიკატორებს, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების მდგომარეობას აფასებს. მე-11 დიაგრამაზე ნაჩვენებია საქართველოში სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების შექმნა/გაუქმება და მათზე სახელმწიფოს კონტროლი, აღნიშნული ორგანიზაციების სახელმწიფო სისტემის წინააღმდეგ მოძრაობა, რეპრესიები (ხელისუფლების მხრიდან შევიწროება) და პოლიტიკურ პროცესებში მათი ჩართულობა. ამ უკანასკნელის გარდა, ყველა სხვა ინდიკატორი ფასება 1-დან 4-მდე სიდიდით. სამოქალაქო საზოგადოების პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობა კი 1-დან 3-მდე სიდიდით.

მე-11 დიაგრამა ცხადყოფს ყველა ზემოხსენებული ინდიკატორის სტაბილურად დაბალ მაჩვენებელს 1995 წლიდან 2004 წლამდე. გარდა რეპრესიების ინდიკატორისა, თითქმის ერთგვარად ვითარდება ყველა სხვა ინდიკატორი. კერძოდ, შეინიშნება მათი ზრდადობა 2015 წელს, კლება 2016-ში და კვლავ ზრდადობა 2017 წელს.

მნიშვნელოვანია SCO-რეპრესიების მაჩვენებელი, რომლის მაჩვენებელიც მუდმივად ზრდადია (რეპრესია კლებადი) 2007 წლიდან 2012 წლამდე, შემდეგ იკლებს (რეპრესია იზრდება) 2013-2014 წლებში და მას შემდეგ მდგრადი ზრდით ხასიათდება. საბოლოო, 2017 წლის მაჩვენებელი 3 ერთეულს მიახლოებულია, რაც მცირედ, მაგრამ ხელისუფლების მხრიდან სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების შევიწროებაზე მიუთითებს.



დიაგრამა N11 - დემოკრატიის ინდექსების გამზომი ინდიკატორები სამოქალაქო საზოგადოების სფეროში, 1990-2017 წლები

მედია

მედია თავისუფლების საკითხები აგრეთვე წარმოადგენს დემოკრატიის სხვადასხვა დონის პრინციპების შეფასების ინდიკატორებს. მე-12 დიაგრამაზე ნაჩვენებია საქართველოში სამთავრობო ცენზურა ბეჭდურ და სამაუწყებლო საშუალებებზე, ინტერნეტ ცენზურა და ბეჭდური და სამაუწყებლო მედიის კრიტიკულობა, ისევე, როგორც მათი მრავალფეროვნება (მთავარი ბეჭდური და სამაუწყებლო მედიასაშუალებები რამდენად წარმოადგენენ პოლიტიკის ფართო სპექტრს). მათგან, მედიასაშუალებებზე სამთავრობო ცენზურა იზომება 0-დან 4-მდე, ხოლო ინტერნეტის ცენზურა 1-დან 4-მდე შუალედური მონაცემით (ზრდადობა ნეგატიურიდან პოზიტიურისკენ), ხოლო კრიტიკული მედიასაშუალებები და მათი მრავალფეროვნება იზომება 0-დან 3-მდე შუალედით. საიდანაც 0 ქულა ენიჭებათ ქვეყნებს, როცა მედიასაშუალებები ხელისუფლების კრიტიკით არ არიან დაკავებულები, ხოლო 3 ქულა ენიჭებათ ქვეყნებს, როცა ყველა მთავარი მედიასაშუალება დროდადრო მაინც აკრიტიკებს ხელისუფლებას.

დიაგრამაზე არსებული მონაცემები ცხადყოფს ინტერნეტის ცენზურის მაჩვენებლის სტაბილურობას 2016 წლამდე, ხოლო 0.5 პუნქტით კლებას 2017 წელს, რაც მიუთითებს მთავრობის უფლებამოსილებაზე დაბლოკოს მისთვის სასურველი ნებისმიერი ვებგვერდი. კრიტიკული ბეჭდური და სამაუწყებლო მედიის მაჩვენებელი ზრდადია 2012 წლიდან 2014 წლამდე, შემდეგ კი ყოველწლიური კლებით, 2017 წელს კვლავ 2012 წლის ნიშნულს უახლოვდება (დაახლოებით 0.9 ქულა 3-დან).



დიაგრამა N12 - დემოკრატიის ინდექსების გამზომი ინდიკატორები მედიის სფეროში, 1990-2017 წლები

პოლიტიკური თანასწორობა

პოლიტიკური თანასწორობის თემის ქვეშ განხულულია ძალაუფლების გადანაწილება სხვადასხვა ჯგუფების მიხედვით. კერძოდ, ძალაუფლების გადანაწილება სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, სოციალური ჯგუფების, სქესის და სექსუალური ორიენტაციის მიხედვით. ინდიკატორის შესაფასებლად გამოყენებულია 0-დან 4-მდე საზომი, სადაც 0 ენიჭებათ ქვეყნებს ყველაზე ნეგატიურ, ხოლო 4 ყველაზე პოზიტიურ შემთხვევებში.

მე-13 დიაგრამაზე ნაჩვენებია საქართველოში 1990 წლიდან დღემდე არსებული დემოკრატიის ხარისხი პოლიტიკური თანასწორობის კუთხით. 2013 წლამდე ძალაუფლების სექსუალური ორიენტაციის მიხედვით გადანაწილების მიმართულებით, საქართველოს არასახარბიელო მდგომარეობა აქვს და მისი მაჩვენებელი მინუსშია, მას შემდეგ ოდნავი მატება შეინიშნება თუმცა 2017 წლის მდგომარეობით მაჩვენებელი 1-ს არ აღემატება.

სხვა ინდიკატორებთან შედარებით, სქესის მიხედვით ძალაუფლების გადანაწილება სტაბილურობით ხასიათდება. რაც შეეხება სოციალური ჯგუფებისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით ძალაუფლების გადანაწილებას, მათი მკვეთრი ზრდადობა შეინიშნება 2003-2004 წლებში. სოციალური ჯგუფების მიხედვით ძალაუფლების გადანაწილება შემდეგ სტაბილურია და 1.5 ქულას არ აღემატება, ხოლო სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით ვითარება მერყეევია და 2013-2015 წლებში 0-ს ქვემოთაც ჩამოდის. თუმცა 2015 წლიდან ასევე მკვეთრად იზდება 2017 წლამდე.



დიაგრამა N12 - დემოკრატიის პრინციპების გამზომი ინდიკატორები პოლიტიკური თანასწორობის სფეროში, 1990-2017 წლები

დასკვნა

V-Dem-ის მონაცემების ანალიზი ცხადყოფს საქართველოში დემოკრატიის ხარისხის მდგომარეობას. 2017 წლის მაკრო ინდექსის მონაცემები წინა წელთან შედარებით უმნიშვნელოდაა გაზრდილი. ამავე დროს, დემოკრატიის საშუალო დონის ინდექსებისა და ცალკეული ინდიკატორების ანალიზისას ირკვევა თუ რა უშლის ხელს საქართველოში დემოკრატიის ხარისხის მნიშვნელოვან განვითარებას. მონაცემთა ანალიზისას თვალშისაცემია ის მიმართულებები, რამაც ბოლო წლებში გაუარესება განიცადეს და შესაბამისად ნეგატიური ასახვა ჰპოვეს საქართველოს რეიტინგში. ეს მიმართულებებია: გამოხატვის თავისუფლებისა და სხვა ალტერნატიული ინფორმაციის არსებობა, კანონის წინაშე თანასწორობა და ინდივიდუალური თავისუფლება, სასამართლოს დამოუკიდებლობა, მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უფლება, აკადემიური და კულტურილი გამოხატვის თავისუფლება და სოციალური კლასების თანაბარუფლებიანობა, აგრეთვე კრიტიკული მედიასაშუალებები, ინტერნეტ ცენზურა და სხვა.

ამასთანავე, განხილულ ინდიკატორთაგან, უნდა აღინიშნოს ის მიმართულებები, სადაც წინა წლებთან შედარებით მდგრადი პროგრესი ფიქსირდება. მაგალითისთვის, სამოქალაქო საზოგადოების მდგომარეობისა და არჩევნების ჯგუფების ქვეშ გაერთიანებული ყველა ინდიკატორის გაუმჯობესება დაფიქსირდა 2017 წელს. მცირედით, თუმცა იკლო სამთავრობო ცენზურამ მედიასაშუალებებზე. ასევე მცირედით გაუმჯობესდა პოლიტიკურ პროცესებში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ინდექსი, მდგრადი განვითარებით გამოირჩევა ძალაუფლების გადანაწილება სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით.

V-Dem მონაცემები ადასტურებს ყოველი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებისას იმ საკითხების მხედველობაში მიღების საჭიროებას, რომლებიც დემოკრატიის პრინიპების გაზომვის ინდიკატორებს წარმოადგენს და რომელთა უგულებელყოფა საბოლოო ჯამში ქვეყანაში არსებულ დემოკრატიის ხარისხზე აისახება.

სტატიაში განხილულის გარდა, საქართველოსა და სხვა ქვეყნების მონაცემები, შეგიძლიათ იხილოთ ამ ბმულზე.